საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ. ბ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №077/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ჯ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ჯ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 16 სექტემბერს, ადვოკატ ჯ. კ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ლ. ბ.-მა. საჩივრის ავტორი დაესწრო 2022 წლის 9 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომას, რა დროსაც დაადასტურა წერილობით საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის წარმოადგენდა მოწმის სტატუსით დაკავებული პირების: გ. შ.-სა და გ. კ.-ის ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატ ლ. ბ.-ის განმარტებით, აღნიშნულ საქმეში ჩაერთო ბრალდებულების მეგობრების, რომლებიც ამავე დროს ადვოკატის ნაცნობები აღმოჩნდნენ და და გ. შ.-ის დედის თხოვნით. საჩივრის ავტორის განმარტებით,

დაკავებულების მეგობრებმა მას სთხოვეს დაკავებული პირების ადგილსამყოფელის გარკვევა და მათთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა. ადვოკატი სრულიად უსასყიდლოდ ჩაერთო სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში; გაარკვია დაკავებულთა ადგილსამყოფელი და შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს N-- განყოფილებაში შეხვდა გ. შ.-სა და გ. კ.-ს, რომელთაც გამოუცხადეს ნდობა და განუმარტეს, რომ სურდათ მათთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია ადვოკატ ლ. ბ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ინფორმაცია მოიძია სისხლის სამართლის საქმის დეტალებზე და კლიენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განმეორებით მივიდა პოლიციის განყოფილებაში, სადაც შეხვდა ადვოკატი ჯ. კ., რა დროსაც, კოლეგამ განუმარტა, რომ ის არ მიუწვევიათ გ. შ.-სა და გ. კ.-ის ოჯახის წევრებს; მადლობა გადაუხადა გ. შ.-სა და გ. კ.-სთვის გაწეული ყურადღებისათვის და მოუწოდა წასულიყო, ვინაიდან მას იქ აღარაფერი ესაქმებოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ჯ. კ.-მა დამატებით განუმარტა, რომ თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო დარჩენილიყო და მათ ადვოკატ ლ. ბ.-ის გამოცდილება გამოადგებოდათ. საჩივრის ავტორის შეფასებით, აღნიშნული სიტყვები წარმოთქმული იყო ცინიკური, დამამცირებელი ტონით, კოლეგების საუბარს კი ესწრებოდნენ გ. შ.-სა და გ. კ.-ის ნათესავები, რომლებმაც ჯ. კ.-ის სიტყვების შემდეგ უხეშად მიმართეს მას და მოუწოდეს წასულიყო. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ის შეხვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ გ. შ.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ ენდობოდა და სურდა მისი ადვოკატი ყოფილიყო ლ. ბ.

1.4 საჩივრის ავტორმა 2022 წლის 01 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც მიუთითა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ადვოკატ ჯ. კ.-ის ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოება, თითქოს ის ხელს აფარებდა პოლიციელებს, გ. კ. იყო ნაცემი და ლ. ბ. აიძულებდა მას ჩვენების მიცემას. ადვოკატმა განმარტა, რომ გ. კ.-მ პოლიციას ჩვენება მისი საქმეში ჩართვამდე მისცა, რაც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა თავად გ. კ.-სგან და ადვოკატი ლ. ბ. არ დასწრებია გ. კ.-ის გამოკითხვას.

1.5 2022 წლის 9 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ლ. ბ.-მა განმარტა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს კოლეგების დისციპლინირება და შეურცახყოფილია კოლეგის მიერ გამოხატული უპატივცემულობის გამო.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ჯ. კ.-მა 2022 წლის 23 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ის მიზნად არ ისახავდა კოლეგის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვას ან მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას.

2.2 ადვოკატ ჯ. კ.-ის განცხადებით, მან დაინახა როგორ ესაუბრებოდნენ ადვოკატ ლ. ბ.-ს გ. კ.-ის ოჯახის წევრები და ცდილობდნენ გაერკვიათ ვისი მოწვევით ჩაერთო ადვოკატი ლ. ბ. საქმისწარმოებაში და რატომ არ დაინტერესდა ოჯახის წევრთა პოზიციით. ადვოკატმა ჯ. კ.-მა სიმშვიდისკენ მოუწოდა მხარეებს და განმარტა, რომ ფორს-მაჟორულ სიტუაციებში ადვოკატებს უკავშირდებიან დასაცავი პირების მეგობრები და ამაში უცნაური არაფერი იყო. ადვოკატ ჯ. კ.-ის განმარტებით, მან პატივისცემა გამოხატა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ და მიაწოდა ინფორმაცია,

რომ ვინაიდან გ. კ.-მ მას გამოუცხადა ნდობა, იმედია ადვოკატი ლ. ბ. წინააღმდეგი არ იქნებოდა საქმეში ჩართულიყო ადვოკატი ჯ. კ. ადვოკატ ჯ. კ.-ის განცხადებით, ის არასდროს მიაყენებდა შეურაცხყოფას ქალბატონს.

2.3 ადვოკატმა ჯ. კ.-მა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა კვალიფიციური წარმომადგენლობა გაუწია გ. კ.-სა და გ. შ.-ს და მისი ჩართულობის შედეგად დაკავებულებმა მიიღეს მათთვის სასურველი შედეგები.

2.4 2022 წლის 9 ნოემბერს ადვოკატმა ჯ. კ.-მა ეთიკის კომისიის აპარატის იურსტთან საუბრისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა კოლეგის შეურაცხყოფა და სინანული გამოთქვა მომხდარი შემთხვევის გამო. აღნიშნული პოზიცია ადვოკატმა ჯ. კ.-მა დააფიქსირა საპროცესო კოლეგიის სხდომაზეც და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კოლეგის მიმართ ყოველთვის პატივისცემით იყო და არის განმსჭვალული.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1. ადვოკატი ჯ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები.

4.2. ადვოკატმა ლ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 16 სექტემბერს.

4.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 -ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ჯ. კ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2022 წლის 9 ნოემბერს საჩივრის ავტორმა ადვოკატმა ლ. ბ.-მა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან საუბრისას განაცხადა, რომ ადვოკატ ჯ. კ.-ის პოზიციის გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტა გაიხმოს საჩივარი და სურს შეწყდეს ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ჯ. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20

მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N077/22 შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ ჯ. კ.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/